დადგენილება:**დ-47.47213232**
თარიღი:**19/11/2021**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N11

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის №8 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 01/07/2021, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.114.016454). შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების დანართის პირველი მუხლის მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი